ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

შეხვედრის ოქმი

დღის წესრიგი

21 იანვარი, 2022

Zoom

10:30-11:00	რეგისტრაცია
11:00-11:30	ფორუმის გახსნა

რევაზ ჯაველიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

გიორგი ონიანი - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

პოლ მაასენი - ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საერთაშორისო სამდივნო; ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელი

11:30-13:10	ღია მმართველობა საქართველოს 2022-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა

I ნაწილი

- **ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო**
- **გიორგი ონიანი** - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

თემატური მიმართულება: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა
    - ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პროაქტიული გამოქვეყნება
    - აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში საცხოვრისიდან გამოსახლების საკითხებზე დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების დანერგვა და მისი პროაქტიულად გამოქვეყნება
    - რეფერალური მომსახურების სახელმწიფო და სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული განაცხადების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა
    - სსიპ - შრომის ინსპექციის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების პროაქტიულად გამოქვეყნება
    - კულტურული ღონისძიებების დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა
    - სპორტის ფედერაციების სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობის გაუმჯობესება

- სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე არსებული მშენებლობის ნებართვის სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტირებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

- საქართველოს მთავრობის სხდომების საჯაროობა
- მთავრობის აქტების პროექტების და განმარტებითი ბარათების გამოქვეყნება
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (ინიციატორი: UNDP)
- "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღება

თემატური მიმართულება: ჩართულობის უზრუნველყოფა

- საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საჯარო ინფორმაციის/სერვისების ხელმისაწვდომობის და უმცირესობების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ პოლიტიკურ/საზოგადოებრივ პროცესებში
- უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინკლუზიისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა პარლამენტისა და მთავრობის დონეებზე
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის დახვეწა
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად ელექტრონული სისტემის შექმნა

13:10-13:50	**შესვენება**

13:50-15:30	**ღია მმართველობა საქართველოს 2022-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა**

II ნაწილი

თემატური მიმართულება: გამჭვირვალობა, ღია მონაცემები

- „ღია მონაცემების აქტის" მიღება
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნება
- სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (გასაუბრებების ღიაობის უზრუნველყოფა); სასამართლო გადაწყვეტილებების სრულად გამოქვეყნება, მათ შორის, ღია ფორმატში
- უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება ვებგვერდზე
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა;
- ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

- სააქციო საზოგადოებების მეწილეთა გამჭვირვალობა
- საჯარო სამთავრობო საინფორმაციო ბაზებთან პირდაპირი ტექნიკური წვდომის უზრუნველყოფა
- სახელმწიფო არქივების ღიაობის რეფორმა (II ტალღა)
- საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა
- სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა
- ბუნებრივი რესურსების განკარგვისას გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა
- საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა

თემატური მიმართულება: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

- სახელმწიფო სერვისების ინდექსის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია საპილოტე სახელმწიფო უწყებებში (ინიციატორი: USAID)
- ეთნიკურად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება საჯარო სექტორში დასაქმების და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის სხვადასხვა სფეროებში

15:30-15:45	**შესვენება**

თემატური მიმართულება: სოციალური მიმართულება

- საცხოვრისის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება
- უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა
- შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციისა და სათემო სერვისების შემუშავების მეშვეობით
- განვითარების პროექტებით გამოწვეული გამოსახლებისა და განსახლების სტანდარტების შექმნა

თემატური მიმართულება: უსაფრთხო გარემოს შექმნა

- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში თემზე ორიენტირებული პოლიციის განვითარება

თემატური მიმართულება: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

- ძალოვან უწყებებში მამხილებელთა დაცვის სპეციალური წესების დადგენა
- დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს ჩამოყალიბება

15:45 -16:15	**ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება - სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა/დისკუსია**

- ***ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო***
- ***ინიციატივების წარმდგენი სახელმწიფო უწყებები***

16:15 -16:45	**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა ღია მმართველობა საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში**

- *ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო*
- *მუნიციპალიტეტები*

16:45-17:15	შეხვედრის დახურვა - სამომავლო გეგმებზე შეთანხმება

ფორუმის გახსნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, როგორც ღია მმართველობის პროცესის მაკოორდინირებელმა უწყებამ, ღია მმართველობა საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის - ფორუმის შეხვედრას უმასპინძლა.

ფორუმი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, რევაზ ჯაველიძემ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ონიანმა და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საერთაშორისო სამდივნოს ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელმა, პოლ მაასენმა გახსნეს.

რევაზ ჯაველიძე მიესალმა კოლეგებს და მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის. როგორც მან აღნიშნა, იგი მოხარულია, რომ შედგა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი გაფართოებულ ფორმატში, სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, რაც კარგი შესაძლებლობაა წარიმართოს მსჯელობა ღია მმართველობა საქართველოს პროცესებზე და ერთობლივად დაიწყოს OGP საქართველოს რიგით მეხუთე, 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხილვა-შეჯერების ერთ-ერთი პირველი ეტაპი.

მან აღნიშნა, რომ ფიზიკური შეხვედრის ფორმატში ფორუმის გამართვის დიდი სურვილის მიუხედავად, COVID-19-ის ახალი შემთხვევების გაზრდილი რაოდენობის ფონზე, ფორუმის წევრ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ეტაპზე შეხვედრის ონლაინ ფორმატში ჩატარებაზე.

რევაზ ჯაველიძემ განმარტა, რომ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი რამდენჯერმე შეფერხდა, მათ შორის, პანდემიის გამო. ეს გარემოება OGP-ის საერთაშორისო სამდივნომაც გაითვალისწინა და წევრი ქვეყნებისთვის განსაზღვრული სამოქმედო გეგმის წარდგენის ვადები შეცვალა. ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ მადლობა გადაუხადა OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს (OGP Support Unit) წარმომადგენელს, ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელს, ბატონ პოლ მაასენს და ასევე, მიესალმა ქალბატონ მარინა მხითარიანს, OGP საერთაშორისო სამდივნოს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მენეჯერს.

რევაზ ჯაველიძემ ფორუმის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ფორუმის ბოლო შეხვედრის შემდგომ გადადგმული ძირითადი ნაბიჯების შესახებ:

- მან აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ხედვების გათვალისწინებითა და მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, საქართველოში პირველად შეიქმნა ღია მმართველობის მაღალი რანგის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (საბჭო);
- OGP საქართველო სამდივნოს მიერ მომზადდა ღია მმართველობის ბოლო, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის თვითშეფასების საბოლოო ანგარიში, რომელიც OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს წარედგინა;
- USAID/GGI-ის მხარდაჭერით მომზადდა ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ასევე, შეიქმნა პირველი ოფიციალური ვებგვერდი - WWW.OGP.GOV.GE, რომლის დეტალური პრეზენტაცია გაიმართება საბჭოს სხდომაზე;
- 2020 წელს საქართველოს სამი მუნიციპალიტეტი (ოზურგეთი, ხონი და ახალციხე) OGP-ის

ადგილობრივი პროგრამის (OGP LOCAL) წევრებად აირჩიეს. შესარჩევ პროცესში მუნიციპალიტეტებს ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევდნენ OGP საქართველოს სამდივნო, USAID/GGI და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოში.

რევაზ ჯაველიძემ განმარტება გააკეთა OGP საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით - მთავრობის ადმინისტრაციამ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ინიციატივების წარმოდგენის ორი რაუნდი გამართა.

ამ პროცესის ფარგლებში, OGP საქართველოს სამდივნომ სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებებისგან ჯამში 50-ზე მეტი ინიციატივა მიიღო. ფორუმის შეხვედრის მთავარი მიზანი სწორედ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა და მათთან დაკავშირებული საკითხების შეჯერებაა.

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ფორუმის წევრებს ამ პროცესში აქტიური ჩართულობისთვის, დაინტერესებისთვის და მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოება კვლავ გააგრძელებს ღია მმართველობა საქართველოს პროცესის მხარდაჭერასა და თანამშრომლობას.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა** აღნიშნა, რომ მიუხედავად პროცესების გახანგრძლივებისა, მნიშვნელოვანია, რომ ფორუმი იმართება. გიორგი ონიანმა ხაზი გაუსვა, რომ სამოქალაქო სექტორისთვის მნიშვნელოვანია ღია მმართველობის თემების ერთობლივი განხილვა და მთავრობის მხრიდან ისეთი საკითხების პრიორიტეტიზაცია, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

გიორგი ონიანმა შეაჯამა განვლილი პერიოდი და აღნიშნა, რომ საქართველო მართლაც იყო წამყვანი სახელმწიფო OGP-ის საქმიანობაში, საქართველომ ჩაუყარა საფუძველი მნიშვნელოვან რეფორმებს, რითაც ქვეყანა წარმოჩინდა საერთაშორისო დონეზე, თუმცა, მან ასევე აღნიშნა ბოლო წლებში ღია მმართველობის კოორდინაციის მიმართულებით შეჩერებული პროცესები და ახალი სამოქმედო გეგმის არარსებობა, როგორც არსებული მთავარი გამოწვევები.

გიორგი ონიანის განცხადებით, OGP-ის კოორდინაციის ახალი ფორმატი (საბჭო/ფორუმი) ძალიან კარგი სიახლეა და აქვს პოტენციალი, რომ მაგალითი იყოს მთელი OGP-ის თანამეგობრობისთვის. აღნიშნული სიახლის მიხედვით, ფორუმი გადაწყვეტილებებს მიიღებს არა უბრალო უმრავლესობით, არამედ სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობით. აქვე, გიორგი ონიანმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული პოზიტიური სიახლე, რომელიც OGP საბჭოს შექმნის შესახებ მთავრობის დადგენილებას შემოაქვს, პრაქტიკაშიც წარმატებით განხორციელდეს. გიორგი ონიანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის მრავალმხრივი ჩართულობის ფორმატში შემუშავება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა გაძლიერდეს თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებს შორის და ასევე, სამოქმედო გეგმაში აისახოს ახალი, ამბიციური ვალდებულებები.

OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელმა, **პოლ მაასენმა** მადლობა გადაუხადა რევაზ ჯაველიძეს და გიორგი ონიანს მოხსენებებისთვის, მიუხედავად კვლავ ვირტუალური შეხვედრისა, დადებითად გამოეხმაურა ფორუმის გამართვას და მათ წევრებთან შეხვედრას. მისი განცხადებით, OGP-ის ფარგლებში საქართველომ არაერთ წარმატებას მიაღწია, თუმცა, მნიშვნელოვანია, მომავალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე

მსოფლიოს თუ რეგიონის გამოწვევები. პოლ მაასენმა აღნიშნა, რომ დიდია მოლოდინი საქართველოს, როგორც OGP-ის მმართველი კომიტეტის მოქმედი წევრისა და ყოფილი თავმჯდომარე ქვეყნის მიმართ.

მაასენმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს, როდესაც პირველად შეიქმნა OGP საქართველოს ფორუმი, როგორც სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის დიალოგის მექანიზმი, აღნიშნულ პრაქტიკას მრავალი ქვეყანა ეცნობოდა და იყენებდა როგორც მოდელს ღია მმართველობის რეფორმების დასაგეგმად. პოლ მაასენმა ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საქართველომ კვლავ განაგრძოს ხელისუფლების ყველა შტოს ღია მმართველობის პროცესში მონაწილეობა და ეცადოს მსხვილი რეფორმების გატარებას OGP საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

პოლ მაასენმა განმარტა, რომ OGP-ის წევრ ქვეყნებს აქვთ მსგავსი გამოწვევები. მაასენის თანახმად, ფორუმზე წარმოდგენილი წინადადებები, იქნება ეს ანტიკორუფციული მექანიზმების, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თუ სხვა, ის თემებია, რომლებზეც წლების განმავლობაში მიმდინარეობს განხილვა სხვადასხვა ქვეყნის ღია მმართველობის სამოქმედო გეგმების შემუშავების ფარგლებში. მან შეახსენა წევრებს, რომ თითქმის ყველა იდეაზე, რაც ამ ფორუმზეა წარმოდგენილი, არის გამოცდილება OGP-ის სხვა ქვეყნებისგან, რომლებმაც აიღეს ვალდებულებები ამ სფეროებში. მან შესთავაზა ფორუმის წევრებს, გამოიყენონ პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და მოუწოდა წარმომადგენლებს გამოიყენონ პარტნიორობის პლატფორმა არა მხოლოდ საკუთარი მიღწევების წარმოსაჩენად, არამედ სხვებისგან სასწავლადაც.

პოლ მაასენმა მოუწოდა ფორუმის წევრებს გამოიყენონ დრო იმისათვის, რომ განავითარონ და დახვეწონ ფორუმის ფარგლებში განსახილველი ინიციატივები და მხედველობაში მიიღონ OGP-ის განახლებული სტანდარტები ურთიერთთანამშრომლობისა და ღია მმართველობის სამოქმედო გეგმების შემუშავების შესახებ. პოლ მაასენმა სურვილი გამოთქვა, OGP საქართველოს საბჭო გახდეს მორიგი მაგალითი პარტნიორობის სხვა ქვეყნებისთვის იმის საჩვენებლად, თუ როგორ მუშაობს გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესები.

დასასრულს, პოლ მაასენმა აღნიშნა, რომ OGP-ის ათმა წელმა აჩვენა, რომ პოზიტიური ცვლილებები შესაძლებელია განსაკუთრებით იქ, სადაც მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება მუშაობენ გაერთიანებული ძალებითა და ურთიერთპატივისცემით, რასაც ადასტურებს მონაცემები და ფაქტები. მაასენის თქმით, საქართველოს უკვე აქვს ასეთი გამოცდილება, შესაბამისად, ფორუმის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, ერთობლივად შეიმუშაონ კიდევ ერთი ღია მმართველობა საქართველოს დღის წესრიგი, OGP კი, მზადაა დაეხმაროს საქართველოს ამ გზაზე.

OGP საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა, **ქეთევან ცანავამ** მადლობა გადაუხადა პოლ მაასენს მნიშვნელოვანი მესიჯების გაჟღერებისათვის. აქვე, ისარგებლა შემთხვევით და მადლობა გადაუხადა OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს წარმომადგენლებს მარინა მხითარიანს და შრეა ბასუს, რომლებიც მუდმივად მუშაობდნენ საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა მიმართულებით.

ღია მმართველობა საქართველოს 2022-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა

I ნაწილი

თემატური მიმართულება: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა

ქეთევან ცანავას განმარტებით, პირველად სამუშაო ეტაპზე ინიციატივები თემატურად გადანაწილდა. პირველ ნაწილში ძირითად ვალდებულებად განხილულია ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება, რომელშიც ჩაშლილია ჩამონათვალი იმ ინფორმაციისა, რომელიც სასურველია, გამოქვეყნებული იყოს პროაქტიულად. ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ წლების წინ, ასევე ღია მმართველობის ფარგლებში შემუშავებული მთავრობის დადგენილება და მისი ნუსხა გადაიხედოს, რასაც იზიარებს მთავრობის ადმინისტრაცია და შესაძლებელია, აისახოს ახალ სამოქმედო გეგმაში.

- ***ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პროაქტიული გამოქვეყნება***

ინიციატივა წარდგენილია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ. ვინაიდან შეთანხმება შედგა, აღნიშნულზე ფორუმის ფარგლებში მსჯელობა არ წარიმართა.

- ***აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში საცხოვრისიდან გამოსახლების საკითხებზე დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების დანერგვა და მისი პროაქტიულად გამოქვეყნება***

ინიციატივა წარდგენილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, თათული ჭუბაბრიამ დასვა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სტატისტიკის წარმოების წესთან და კატეგორიზაციასთან დაკავშირებით. პასუხად, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ლანა მორგოშიამ აღნიშნა, რომ მზადაა დაეხმაროს კოორდინაციაში სოციალური სამართლიანობის ცენტრს, რათა გაჟღერებული კითხვები დეტალურად იქნეს გავლილი აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად, რათა დაზუსტდეს და შესაბამისად მოდიფიცირდეს რიგი საკითხები.

ამასთან დაკავშირებით, ქეთევან ცანავამ აღნიშნა, რომ ფორუმის შემდგომ ჩაინიშნება დამატებითი თემატური შეხვედრები წარმოდგენილი ინიციატივების ეტაპებისა და ინდიკატორების დეტალური განხილვის მიზნით.

- ***რეფერალური მომსახურების სახელმწიფო და სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში***

დარეგისტრირებული განცხადების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა

ინიციატივა წარდგენილია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. ვინაიდან შეთანხმება შედგა, აღნიშნულზე ფორუმის ფარგლებში მსჯელობა არ წარიმართა.

- *სსიპ - შრომის ინსპექციის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების პროაქტიულად გამოქვეყნება*

ინიციატივა წარდგენილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

შრომის ინსპექციის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტატისტიკის სამმართველოს უფროსის, შორენა ყუბანეიშვილის განცხადებით, შრომის ინსპექციის სამსახურს აქვს ინიციატივა, რომ 2022 წლისათვის შეიქმნას ვებსაიტი, რომელზეც პროაქტიულად გამოქვეყნდება სტატისტიკური ინფორმაცია განხორციელებული ინსპექტირებების შესახებ იმ კატეგორიით, რომელიც, სულ მცირე, შრომის ინსპექციის 81-ე კონვენციით არის მოთხოვნილი. აღინიშნა, რომ ამ ეტაპისთვის ანგარიშის გამოქვეყნების მიმართულებით, ჯერჯერობით, გამოიყენება ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელი.

ვინაიდან საკითხზე დამატებითი მსჯელობა არ წარმართულა, ინიციატივა ჩაითვალა შეთანხმებულად მხარეებს შორის.

- *კულტურული ღონისძიებების დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა*
- *სპორტის ფედერაციების სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობის გაუმჯობესება*

ინიციატივა წარდგენილია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, რაც არ იქნა გაზიარებული პასუხისმგებელი უწყების - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა, სოფო ჩანთაძემ აღნიშნა, რომ სპორტის მიმართულებით ე.წ. „Play the Game" კრიტერიუმების გაწერასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სამინისტრო ვერ აიღებს ვალდებულებას, ვინაიდან ეს პროცესი მხოლოდ 2021 წლის ბოლოს დაიწყო, დამტკიცებულია სახელმძღვანელო პრინციპები სპორტული ფედერაციებისთვის, რაც ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია, თუმცა, ეს სამუშაო პროცესია და, სანამ ძირითადი პრინციპები არ იქნება ჩამოყალიბებული, ვერ გაიწერება კონკრეტული კრიტერიუმები.

IDFI-ის წარმომადგენელმა, ლევან ავალიშვილმა აღნიშნა, რომ სპორტის ფედერაციების დაფინანსების გამჭვირვალობაში IDFI გულისხმობს იმ ანგარიშების გამოქვეყნებას, რაც სამინისტროს ეგზავნება, ეს ინფორმაცია მანამდეც ყოფილა მოთხოვნილი და სამინისტროს მხრიდან - მიწოდებული.

ლევან ავალიშვილსა და სოფო ჩანთაძეს შორის შედგა შეთანხმება აღნიშნული ინიციატივის ფორმულირების ცვლილებასთან დაკავშირებით.

ლევან ავალიშვილმა კულტურის მიმართულებით ინიციატივასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათი მხრიდან მოთხოვნილი იყო დამოუკიდებელი ვებპორტალის შექმნა, რაც მისი თქმით, ამ ეტაპზე, მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსს, შესაბამისად, IDFI-სთვის მისაღები იქნებოდა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ვებსაიტზე დეტალური ინფორმაციის განთავსდება კულტურული ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებით, პროაქტიული ნუსხის სახით.

სოფო ჩანთაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, ინიციატივა იქნება მისაღები, თუმცა, განმარტა, რომ სამინისტროს ვებსაიტზე მუშაობა ჯერჯერობით არ არის დასრულებული. აქვე, მან აღნიშნა, რომ სამინისტრო ვერ გასცემს ინფორმაციას სხვა უწყებების მიერ ჩატარებული და დაფინანსებული კულტურული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, შეთანხმება შედგა, რომ ინიციატივა შეეხოს მხოლოდ სამინისტროს ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებს და ინფორმაციის განთავსების წყაროდ განისაზღვროს სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი.

შედეგად, შეთანხმება შედგა ორივე ზემოხსენებულ ინიციატივასთან დაკავშირებით, ფორმულირების ცვლილების გზით.

- ***სარეზერვო ფონდებიდან გაცემული დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა***

ინიციატივა წარდგენილია IDFI-ის მიერ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა, დიმიტრი გულისაშვილმა განმარტა, რომ უახლოეს მომავალში დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა იმ უწყებებთან, რომლებიც სარგებლობენ სარეზერვო ფონდებით და მხოლოდ მათთან კონსულტაციის შემდგომ გადაწყდება, თუ რა ფორმულირებით შეიძლება ამ საკითხის დასმა. მანამდე კი, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, გააკეთოს რაიმე განცხადება.

ლევან ავალიშვილმა განმარტა, რომ ამ ვალდებულებაში საინტერესო იქნება მთავრობის ადმინისტრაციის პოზიცია, ვინაიდან სარეზერვო ფონდების გამოყენების პროცესი შედგება ორი ნაწილისგან: 1. თანხების გამოყოფა მთავრობის მიერ და 2. შესყიდვა, რომელიც რიგ შემთხვევაში ხორციელდება პირდაპირი გზით.

რევაზ ჯაველიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საკითხი სამუშაო შეხვედრაზე განსახილველია უწყებებთან ერთად. მისი თქმით, ჯერჯერობით არ არის მზაობა ამ ინიციატივის გაზიარებასთან დაკავშირებით. თუმცა, მთავრობის ადმინისტრაცია მუშაობს, რომ გამონახოს შესაძლებლობების არეალი. გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხზე დაინტერესება მაღალია, ხსენებული სამუშაო შეხვედრა აუცილებლად ჩაინიშნება, თუმცა დეტალებზე მსჯელობა მოცემულ მომენტში ვერ ხერხდება. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მზაობა იყოს პროცესში ჩართული ყველა უწყების მხრიდან.

- ***სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიების სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება***

ინიციატივა წარდგენილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, თუმცა აღინიშნა, რომ საკითხი უნდა დამუშავდეს.

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, გალინა ბიწაძის განცხადებით, უწყება განიხილავს ინიციატივის სამოქმედო გეგმაში ასახვას. ამასთან, განმარტა, რომ დაწყებულია წიაღის სექტორის რეფორმის მეორე ფაზა და იგეგმება წიაღის შესახებ კოდექსის დანერგვა, რითიც გათვალისწინებული იქნება ჩართულობის მექანიზმების დანერგვა წიაღით სარგებლობის უფლების გაცემის პროცესში. ამასთანავე, ვებგვერდის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება ამ ინფორმაციის გამოქვეყნება და ყველა დაინტერესებულ მხარეს ექნება შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ლიცენზიების გაცემამდე. რაც შეეხება დამატებით რეკომენდაციას - ინსპექტირებების შესახებ ინფორმაციას, შესაძლებელია, მისი გათვალისწინება და სამოქმედო გეგმაში ასახვა. აქვე, აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელში პერიოდულად ვრცელდება ინსპექტირებების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, ამ რეკომენდაციის ფარგლებში, კვარტალურ ჭრილში შესაძლებელი იქნება განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ინფორმაციის ატვირთვა და ყველასთვის ხელმისაწვდომობა, ვებსაიტის განახლების დასრულების შემდგომ.

ვინაიდან საკითხზე დამატებითი მსჯელობა არ წარმართულა, ინიციატივა ჩაითვალა შეთანხმებულად მხარეებს შორის.

- ***განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე არსებული მშენებლობის ნებართვის სახელმწიფო ზედამხედველობის თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება***

ინიციატივა წარდგენილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, თუმცა აღინიშნა, რომ საკითხი უნდა დამუშავდეს.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილის, ანა ბუტულაშვილის განმარტებით, აღნიშნული ინიციატივა უწყებისთვის მისაღებია. რაც შეეხება ზედამხედველობის საკითხს, ამ სფეროში, სააგენტო იაზრებს, რომ არსებობს საზოგადოების დიდი ინტერესი, თუმცა არსებული ტექნიკური საშუალებები, კერძოდ, ვებსაიტი არ არის მოყვანილი შესაბამისობაში, რათა პროაქტიულად გამოქვეყნდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელზეც არსებობს დაინტერესება. ანა ბუტულაშვილის განმარტებით, თუ სააგენტოს ექნება დონორის მხარდაჭერა, ის შეძლებს აღნიშნული ინიციატივის სრულყოფილად შესრულებას.

გიორგი ონიანის განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც უწყება გამოთქვამს მზაობას ინიციატივების დანერგვასთან დაკავშირებით, თუმცა ამის შემაფერხებელ გარემოებად ასახელებს მწირ რესურსებს, რაც, ასევე, რეფორმის დანერგვაზე უარის თქმას ნიშნავს უწყების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, მხოლოდ დონორების მხარდაჭერის იმედად არ იყოს უწყება და სახელმწიფო ცდილობდეს ამგვარ ვითარებაში თუნდაც ნაწილობრივი რესურსის გაღებას. მან მოუწოდა ფორუმზე დამსწრე მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხელი შეუწყონ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამონახვაში.

თათული ჭუბაბრიას განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია გაჩნდა მას შემდეგ, რაც ნამახვანი ჰესის შემთხვევის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ ინსპექტირების ოქმი არ დგება, თუკი არ გამოვლინდა ადგილზე სამართალდარღვევის ფაქტი. როდესაც სააგენტოსგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირების ვიზიტის შესახებ, ოქმის ნაცვლად წარმოდგენილი იყო წერილობითი განმარტება ვიზიტთან დაკავშირებით, რასაც ახლდა ფოტოსურათები და კონკრეტული

თანამშრომლების მივლინების დოკუმენტაცია.

ანა ბუტულაშვილმა განმარტა, რომ მთავრობის 257-ე დადგენილების შესაბამისად, ინსპექტირების ოქმი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა გამოიკვეთება. მისი განმარტებით, სააგენტოს მიერ დანერგილი პრაქტიკა ინფორმაციის გაცემის ფორმასთან დაკავშირებით მისაღებია, ვინაიდან, პროცედურულად, ინსპექტირების ოქმის შედგენის შემთხვევაში, მას აუცილებლად უნდა მოყვეს სამართალდარღვევის ოქმი.

მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელმა, ქეთი გუჯარაიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო პაკეტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მისი და რამდენიმე სხვა ორგანიზაციის აზრით, ეს ცვლილებები, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს OGP-ის პრინციპებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ის წარსდგა ინიციატივით, რომ შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებამდე შეამოწმებს მის თავსებადობას OGP-ის პრინციპებსა და მიზნებთან, ინფორმაციის ღიაობასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

გიორგი ონიანმა ქეთი გუჯარაიძეს შესთავაზა, რომ აღნიშნული ინიციატივა განხილულ იქნეს პარლამენტის OGP-ის ფორმატში, რაზეც ქეთი გუჯარაიძემ განმარტა, რომ სასურველია მთავრობამაც შეაფასოს თავისი მომზადებული საკანონმდებლო პაკეტები პარლამენტში წარდგენამდე.

- ***გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტირებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება***

ინიციატივა წარდგენილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, რაც გაზიარებულია პასუხისმგებელი უწყების - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის, ლიკა ქოქიაშვილის განმარტებით, ამ საკითხზე უწყებამ უკვე დაიწყო მუშობა, კერძოდ, საიტზე ჩაშენდა ინსპექტირების მოდული, სადაც უკვე განთავსებულია საწვავის ხარისხის მონიტორინგის, პარკების შემოწმების, რუსთავის საწარმოების შედეგები და ეტაპობრივად გაგრძელდება ინფორმაციის გამოქვეყნება.

თათული ჭუბაბრიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც გამოთხოვილი იყო საჯარო ინფორმაცია, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პროცესი ფერხდება და წარმოების ვადები ირღვევა, ინფორმაცია არ გაიცემა.

ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის, ქეთი გუჯარაიძის განმარტებით, ასევე, პრობლემურია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლი, რომლითაც დგინდება ვალდებულება 2018 წლის 1 იანვრიდან საქმიანობის შემდგომი ანალიზის გამოქვეყნების თაობაზე, რაც უწყების მიერ ხსენებულ პორტალზე არ არის ხელმისაწვდომი.

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსმა, მაია ბერაძემ განმარტა, რომ პორტალი სატესტო რეჟიმში მუშაობს და ჩატარდა ინტენსიური სამუშაოები, თუმცა, ჯერჯერობით მასზე არ არის ინფორმაცია სრულად ასახული, მოცულობისა და სირთულიდან გამომდინარე. აღნიშნული პორტალი მიზმულია შიდა სისტემებზე და შესაბამისად, პირველ ეტაპზე დოკუმენტები იტვირთება შიდა

სისტემაში და შემდეგ ქვეყნდება. მაია ბერაძის განმარტებით, ამ ნაწილში არის სრული ღიაობა, პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ერთი - აღნიშნული დოკუმენტები საჭიროებს სრულყოფილ დამუშავებას, რაც დროს მოითხოვს და რის გამოც ვერ ხერხდება მასალების პირდაპირ გამოქვეყნება.

ქეთი გუჯარაიძისა და გიორგი ონიანის პოზიციით, 2018 წლიდან წარმოქმნილი ვალდებულების შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ ეს უწყებისთვის პრიორიტეტი არ არის, მაშინ, როდესაც საკითხი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.

ვინაიდან ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე საჭირო გახდა დამატებითი დისკუსია, გიორგი ონიანმა შესთავაზა უწყებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამართონ შეხვედრა ფორუმს მიღმა და მოგვიანებით მოუბრუნდნენ ინიციატივას.

- ***საქართველოს მთავრობის სხდომების საჯაროობა***
- ***მთავრობის აქტების პროექტების და განმარტებითი ბარათების გამოქვეყნება***

ინიციატივები წარდგენილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, რასთან დაკავშირებითაც უწყება - მთავრობის ადმინისტრაცია ეცნობა საუკეთესო პრაქტიკას.

რევაზ ჯაველიძემ მთავრობის სხდომებთან დაკავშირებით ითხოვა დაზუსტება, თუ რა ტიპის საჯაროობას გულისხმობს ინიციატივა. სხვა ქვეყნების წინასწარი მოკვლევით დადგინდა, რომ ერთეული, ძლიერი ქვეყნების შემთხვევაში, როგორებიცაა, მაგ. აშშ და საფრანგეთი მიმდინარეობს მთავრობის სხდომების ტრანსლირება, თუმცა, ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში ეს პრაქტიკა არ არის დანერგილი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, სალომე საღარაძემ განმარტა, რომ საქართველოს კანონში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ არის ჩანაწერი, რომლის მიხედვით, მთავრობის სხდომები, როგორც წესი, არის დახურული. ინიციატორი ორგანიზაციის შემოთავაზებაა, რომ შეიცვალოს კანონში შესაბამისი ჩანაწერი და განისაზღვროს, რომ მთავრობის სხდომები იყოს ღია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

რევაზ ჯაველიძემ განმარტა, რომ დღეს არსებული მდგომარეობით, მთავრობის სხდომების დღის წესრიგები ქვეყნდება მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე. მისივე განმარტებით, ყველა მნიშვნელოვანი სხდომის შემდგომ მედიასთან განცხადებებს აკეთებენ თავად მთავრობის წევრები სხდომის დასრულებისთანავე. ამასთან, მთავრობის სხდომებზე ხშირად განხილვას მოყვება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დისკუსია, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან, რომელთა გასაჯაროება არ არის რეკომენდებული.

სალომე საღარაძემ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ჩატარებული აქვს კვლევა, მთავრობის საქმიანობაზე საგანგებო და ორდინალურ პირობებში, რომელიც არაპირდაპირ ეხება მთავრობის სხდომების საჯაროობას. სწორედ, ამ კვლევაზე მუშაობის პროცესში წააწყდნენ ისეთ შემთხვევებს, როცა ვებსაიტზე არ იყო განთავსებული მთავრობის დღის წესრიგები სხდომის გამართვამდე, ასევე, სრულყოფილად ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ. მისი განმარტებით, იმისათვის, რომ მმართველობა იყოს ღია და გამჭვირვალე, უმჯობესია, არ გავითვალისწინოთ იმ სახელმწიფოების მაგალითები, რომელთა სხდომები დახურულია. ასევე, სალომე საღარაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ეს ინიციატივა სხვაგვარად იყოს მოდიფიცირებული ან ფორმულირებული და მზად არიან დიალოგისათვის, როდესაც მთავრობის

ადმინისტრაცია დაასრულებს საუკეთესო პრაქტიკაზე მუშაობას.

გიორგი ონიანმა დაამატა, რომ ამოსავალ წერტილად არ უნდა მივიღოთ სხვა ქვეყნის მაგალითი, რის ნაცვლადაც, უმჯობესია, აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რა იქნება უკეთესი საქართველოს რეალობისთვის და რა არის ინიციატივის შეუსრულებლობის ხელის შემშლელი ფაქტორი. მისი თქმით, საქართველო, თავის მხრივ, ნამდვილად შეიძლება იყოს ის სახელმწიფო, რომლისგანაც სხვები, მათ შორის, თუნდაც, აშშ აიღებს მაგალითს.

გიორგი კლდიაშვილმა ფორუმის წევრებს გაუზიარა IDFI-ის 2012 წლის კვლევა მთავრობის ღიაობასთან დაკავშირებით. აქვე, განმარტა, რომ ისეთი კოლეგიური ორგანოს სხდომების ღიაობა, როგორიც მთავრობაა, ძალზე მაღალი მნიშვნელობისაა. გიორგი კლდიაშვილის მოსაზრებით, მთავრობის სხდომების ღიაობა არ არის მცირედი პროაქტიულობა, შესაბამისად, დიდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მოითხოვს.

გიორგი ონიანმა დამატებით წამოჭრა საკითხი, რომ გამორკვეული იყოს, რატომ არ მიეწოდება მის ორგანიზაციას ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციის პიარის ხარჯებთან დაკავშირებით. ასევე, გამოიკვეთა, რომ 2021 წლიდან პრემიერის არცერთი ბრძანება არ არის განთავსებული მთავრობის ვებგვერდზე.

რევაზ ჯაველიძემ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს სთხოვა, წარმოადგინონ რეკომენდაციების ერთიანი პაკეტი ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოხდეს დამატებითი განხილვა შესაძლებლობების ფარგლებში.

ქეთი გუჯარაიძემ აღნიშნა, რომ 2009 წელს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიღების პაკეტში, გათვალისწინებული იყო ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების განხორციელება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან პარლამენტმა ამოიღო მე-15 თავი, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის აქტების პროექტების გამოქვეყნებას და ამ აქტების შექმნის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას, თუმცა, მაშინდელმა ხელისუფლებამ არ განმარტა თავისი გადაწყვეტილება. მისი აზრით, აღნიშნული თავის კოდექსში დაბრუნება იქნება კარგი გამოსავალი მოცემული ინიციატივის შესასრულებლად.

მსჯელობიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით განხილვას შემგომ შეხვედრებზე.

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის**

ინიციატივა წარდგენილია UNDP-ის მიერ, პასუხისმგებელი უწყება - მთავრობის ადმინისტრაცია განიხილავს აღნიშნულ საკითხს UNDP-ისთან ერთად და მოგვიანებით დეტალურად იმსჯელებენ აღნიშნულთან დაკავშირებით.

- **“ინფორმაციის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის მიღება**

ინიციატივა წარდგენილია DFI-ის მიერ, რაც არ იყო გაზიარებული პასუხისმგებელი უწყების - მთავრობის ადმინისტრაციის მიერ.

რევაზ ჯაველიძის განმარტებით, მოცემული მომენტისათვის, არ არის მზაობა აღნიშნული კანონის

მიღებისათვის, თუმცა, ალტერნატიულ წინადადებად ფორუმის წევრებს შესთავაზა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დოკუმენტაციის ნუსხის გაფართოება და შესაბამისი ინფორმაციის data.gov.ge-ზე განთავსება.

IDFI-ის წარმომადგენელმა, დავით მაისურაძემ აღნიშნა, რომ ეს კანონი მნიშვნელოვანი, ქმედითი მექანიზმია და წარმოადგენდა ორი სამოქმედო გეგმის ვალდებულებას.

გიორგი კლდიაშვილმა შესთავაზა მთავრობის ადმინისტრაციას, რომ ერთობლივად იმუშაონ კანონის პროექტზე, ისაუბრონ იმ საკითხებზე, რომლებიც კრიტიკულად მიუღებელია და სცადონ საერთო ინტერესების გამონახვა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ამ ინიციატივის განხორციელებას მხარს უჭერენ საერთაშორისო პარტნიორებიც, მათ შორის USAID.

USAID-ის წარმომადგენელმა, ლინა პანტელეევამ აღნიშნა, რომ წლებია USAID მუშაობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითებზე და რეკომენდებულად მიაჩნია ასეთი ტიპის საკითხებზე გაიმართოს ღია დისკუსიები. ამასთან, USAID-მა გამოთქვა მზადყოფნა კვლევების საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს მთავრობას.

თემატური მიმართულება: ჩართულობის უზრუნველყოფა

- **საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა**

ინიციატივა წარდგენილია IDFI-ის მიერ, რაც გაზიარებულია საჯარო უწყების - მთავრობის ადმინისტრაციის მიერ.

რევაზ ჯაველიძემ განმარტა, რომ მთავრობის 629-ე დადგენილებით უკვე გათვალისწინებულია პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, ამას სრულად მიესალმება მთავრობის ადმინისტრაცია და მზადაა კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის ამ მიმართულებით. მანვე აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაცია ფიქრობს, ხელი შეუწყოს ჩართულობის ამ მექანიზმის ადგილობრივ თვითმმართველობებში განხორციელებას.

დავით მაისურაძემ აღნიშნა, რომ დადგენილებით სასურველზე უფრო მინიმალური სტანდარტებია დადგენილი. ასევე, დადგენილებით განსაზღვრული ნორმები და პრაქტიკული განხორციელება ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. მისი თქმით, IDFI-ის ინიციატივა იყო ვებპორტალის შექმნა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა დოკუმენტების განთავსება და საჯარო განხილვა. ქეთევან ცანავამ აღნიშნა, რომ ასეთი პორტალის შემუშავება UNDP-ის მხარდაჭერით უკვე მიმდინარეობს, რომლის მიზანია როგორც პოლიტიკის დოკუმენტების ერთიან სისტემაში შემუშავება, ასევე საჯარო კონსულტაციების გამართვის მექანიზმის შექმნა.

აქვე, ქეთევან ცანავამ დაადასტურა, რომ მთავრობის 629-ე დადგენილება, მისი სამართლებრივი ბუნებისა და ფორმატის შესაბამისად, მართლაც, მინიმალური დონით განსაზღვრავს საჯარო კონსულტაციის საკითხს, თუმცა, ერთი მხრივ, მასშივე გაწერილია ვალდებულება უწყების მიერ საჯარო კონსულტაციის, სულ მცირე, ერთხელ გამართვასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, უკვე შემუშავებულია და სულ მალე გამოქვეყნდება USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს საერთაშორისო კარგ პრაქტიკას ჩართულობის მექანიზმებზე, ფორმატისა და წესების შესახებ. ასევე, ისევ UNDP-ის მხარდაჭერით იგეგმება, ერთიანი სისტემის დამუშავება და

სწორედ, იმგვარი ელექტრონული პლატფორმის შექმნა, როგორზეც დავითმა ისაუბრა. შესაბამისად, ქეთევან ცანავას რეკომენდაციით, თუკი ინიციატივაში იყო რაიმე ნაგულისხმევი ამ ყველაფრის მიღმა, შესაძლებელია მიბრუნება და ხელახლა დეტალური განხილვა.

დავით მაისურაძემ დაამატა, რომ რამდენადაც საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციას და მთავრობის ადმინისტრაციას მსგავსი პოზიციები აქვს, სასურველია, შემუშავდეს ინიციატივის რეფორმულირებული ვარიანტი და საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნას ვიწრო სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს ამ საკითხებზე.

ქეთევან ცანავამ განმარტა, რომ სამდივნო დაუბრუნდება IDFI-ის ამ საკითხთან დაკავშირებით. აქვე, აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში უკვე არსებობს სახელმწიფო უწყებებისგან ფორმირებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს განხილვის ფორმატისთვის. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოცემული დადგენილება არის საკმაოდ ახალი, ამასთან, კომპლექსური და სახელმწიფო უწყებებს დიდი გზა აქვთ გასავლელი ამ დოკუმენტის სრულად გათავისებამდე ვიდრე მასში რაიმე ცვლილება შევა.

- **ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საჯარო ინფორმაციის/სერვისების ხელმისაწვდომობის და უმცირესობების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ პოლიტიკურ/საზოგადოებრივ პროცესებში**

თათული ჭუბაბრიამ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საჯარო ინფორმაციის/სერვისების ხელმისაწვდომობის და ადგილობრივ პოლიტიკურ/საზოგადოებრივ პროცესებში უმცირესობების ჩართულობის გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორგანიზაციის რეკომენდაციები სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში აღნიშნული საკითხები ასახული არ არის, ცენტრის ინიციატივაა: ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საჯარო მოხელეებთან კომუნიკაციის პროცესში თარგმანის რესურსების შექმნა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და თვითმმართველობის დონეზე საკანონმდებლო დოკუმენტების თარგმნა და ჩართულობის მექანიზმების შესახებ საინფორმაციო კამპანიების წარმოება.

ჭუბაბრიას განმარტებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ ინფორმაცია თავიანთ უფლებებსა და მექანიზმებზე, რასაც თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს. ამასთან, მათ არ აქვთ ინფორმაცია იმ სერვისებზე, შემოთავაზებებსა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საკანონმდებლო ინიციატივებზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებობს. მისი თქმით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მხოლოდ ზოგად ამოცანებს მოიცავს, რაც წარმოდგენილ ინიციატივებს საერთოდ არ პასუხობს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის, თინათინ ღოღელიანის განცხადებით, სტრატეგია ზოგადი ხასიათისაა, თუმცა, მის სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს და სამომავლოდაც გაგრძელდება. შესაბამისად, უწყებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ორ დოკუმენტში (სტრატეგიასა და ღია მმართველობის პარტნიორობის ახალ სამოქმედო გეგმაში) იდენტური ვალდებულების გაწერა. თინათინ ღოღელიანის თქმით, სტრატეგიის ფარგლებში, ეფექტურად მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო კამპანიები და ვრცელდება მასალები მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე. ამასთან, დამატებით აღინიშნა, 2017 წლიდან

ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირება (ქვემო ქართლი, კახეთის რეგიონი) რაც, ღოღელიანის განმარტებით, მნიშვნელოვანი საკონსულტაციო პლატფორმაა, რომელიც ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, თემის ლიდერებს და სხვ. საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თარგმანის რესურსებთან დაკავშირებით კი, განაცხადა, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხის უშუალოდ ადგილობრივ თვითმმართველობებთან განხილვა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა ქამრან მამედოვმა, რომლის განცხადებითაც, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების დონეზე გაწერილი არ არის კონკრეტული აქტივობები თარგმანის, საინფორმაციო კამპანიებისა და ვებგვერდის ეთნიკური უმცირესობების ენაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. მან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული პრობლემები ღია საზოგადოების ფონდის მიერ 2018-2019 წწ. კვლევის შედეგებით გაამყარა, რომლის მიხედვითაც ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის 70%-ს არასდროს მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, ხოლო მოსახლეობის 80%-ს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოსთვის, ერთ-ერთ მიზეზად კი სწორედ ენობრივი ბარიერი და მათთვის გასაგებ ენაზე პასუხის მიღების პრობლემა სახელდება.

- **უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინკლუზიისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა პარლამენტისა და მთავრობის დონეებზე**

აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა თინათინ ღოღელიანმა განმარტა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი ფაქტობრივად საკონსულტაციო მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. მისი განცხადებით, აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების წარმომადგენლებთან. აღინიშნა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შესახებაც, რომელიც ასევე, საკონსულტაციო მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. ღოღელიანის განცხადებით, მთავრობის დონეზე დამატებითი საკონსულტაციო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა არ არსებობს.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, რევაზ ჯაველიძის განცხადებით, მეტად რელევანტურია უკვე არსებული საკონსულტაციო ფორმატების დახვეწა და წამოჭრილი საკითხების ინტეგრირება არსებულ საკონსულტაციო მექანიზმებში, ვიდრე დამატებით უწყებათაშორისი კომისიის ან/და სხვა სახის მექანიზმის შექმნა.

თათული ჭუბაბრიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა არ ეხება დამატებითი უწყებათაშორისი/საკოორდინაციო საბჭოს შექმნას, არამედ ეს ეხება საკონსულტაციო მექანიზმის არსებობას ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობით, რაც უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს. მისივე განმარტებით, მოსაზრებას იზიარებს ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის ფარგლებში შექმნილი მინისტრთა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც 2019 წლიდან დღემდე სამი ციკლის ფარგლებში გასცემს რეკომენდაციას საკონსულტაციო მექანიზმის თაობაზე, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ღია და რეგულარულ ჩართულობის უზრუნველყოფას არა მხოლოდ მათ საჭიროებებზე, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობასაც, ამასთან,

გვთავაზობს დადგენილ სტანდარტებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკოორდინაციო მექანიზმი.

თინათინ ღოღელიანმა განაცხადა, რომ ევროპის საბჭო თავის ანგარიშებში ერთ-ერთ საკონსულტაციო მექანიზმად ასახელებს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს და გასცემს რეკომენდაციას აღნიშნული საბჭოს გაძლიერების შესახებ. რაც შეეხება სამთავრობო კომისიას, მისი განმარტებით, ის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების მიზნით ფუნქციონირებს, რომელშიც მაღალ დონეზე არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო უწყებები, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში ჩართულები არიან როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. მოცემულ ინიციატივასთან დაკავშირებით კი კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში ვალდებულების აღების საჭიროება არ არსებობს.

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მდივანმა მაია ხმალაძემ განაცხადა, რომ ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიისა და ჩართულობის გაზრდა ღია მმართველობის საპარლამენტო საბჭოსთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ის უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებას. მაია ხმალაძემ სამოქალაქო საზოგადოებას პარლამენტის კომიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერებისკენ მოუწოდა, ამ მიზნით შესთავაზა გარკვეული პლატფორმის შექმნაც, მაგალითად, სამეცნიერო/საკონსულტაციო ხასიათის. ღია მმართველობის საპარლამენტო საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ არსებული საბჭოების მუშაობის გამჭვირვალობა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ვალდებულებაა და პარლამენტი თვალყურს ადევნებს მიმდინარე მოვლენებს. ამასთან, მისი განმარტებით, პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელობა გამოთქვამს მზაობას, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ინკლუზიისა და მონაწილეობის გაძლიერების საკითხი განიხილონ კომიტეტის ფარგლებში და შეიმუშაონ პრობლემის გადაჭრის ერთობლივი გზები.

თათული ჭუბაბრიამ საპასუხოდ განაცხადა, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან უკვე ჰქონდათ კომუნიკაცია, არსებობდა ინიციატივა დიასპორის კომიტეტის ფარგლებში საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ, რამაც სამოქალაქო საზოგადოების და ეთნიკური უმცირესობების დიდი წუხილი და აღშფოთება გამოიწვია. ჭუბაბრიას თქმით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ მსგავსი საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა ადამიანის უფლებათა კომიტეტის ფარგლებში, რომელიც ასევე ევროპის საბჭოს სტანდარტებს დააკმაყოფილებს და აღნიშნულ საკითხზე მუშაობას პარლამენტთან მიმდინარე წელს გააქტიურებენ.

- **გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის დახვეწა**
- **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად ელექტრონული სისტემის შექმნა**

მწვანე ალტერნატივის ინიციატივებთან დაკავშირებით, ანალიტიკოსმა ქეთი გუჯარაიძემ დამატებითი შეხვედრის ჩანიშვნისა და საკითხების სხვა ფორმატში განხილვის საჭიროებაზე ისაუბრა, რასაც სსიპ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ლიკა ქოქიაშვილიც დაეთანხმა. ქოქიაშვილმა განაცხადა, რომ უწყების მხრიდან რეკომენდაციებთან დაკავშირებით ცალსახა უარი არ არის გაცხადებული და მიზანშეწონილად მიაჩნიათ რეკომენდაციის დაზუსტება, რათა პირველ რიგში დაზუსტდეს თუ რა იგულისხმება გზშ-ის პროცესის ეფექტიან შესრულებასა და დახვეწაში. დაიგეგმა სამომავლო ვიწრო თემატური ფორმატის შეხვედრა.

II ნაწილი

თემატური მიმართულება: გამჭვირვალობა, ღია მონაცემები

- **„ღია მონაცემების აქტის“ მიღება**

USAID „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ პროგრამის მენეჯერმა მიხეილ დარჩიაშვილმა „ღია მონაცემების აქტის“ მიღების მნიშვნელობასა და აღნიშნულ საკითხზე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. როგორც მიხეილ დარჩიაშვილი აღნიშნავს, ღია მონაცემების შესახებ როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე საკმაოდ დაბალი ცნობიერება არსებობს. დარჩიაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს გარკვეული ჩარჩო საკანონმდებლო ღია მონაცემების აქტი (მაგალითად, მთავრობის დადგენილება), რომლითაც საჯარო უწყებებს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, გაუჩნდებათ ღია მონაცემების ფორმატში ინფორმაციის რეგულარულად გამოქვეყნების ვალდებულება და ამ ნაბიჯით ინფორმაციის გაზიარების ერთგვარი კულტურა დაინერგება.

ინიციატივას მხარი დაუჭირა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ლანა მორგოშიამ. მისი განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობის პროცესში ჩაერთვება იუსტიციის სამინისტრო და სამინისტროს ციფრული მმართველობის სააგენტო.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორის ლევან ავალიშვილის თქმით, ღია მონაცემების საკითხი უნდა დარეგულირებულიყო ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით, თუმცა, მისი მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კანონი არ იქნება მიღებული, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ცალკეული ძირითადი საკითხები, რომლებიც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის ცვლილების ფორმატში შეიძლება დარეგულირდეს.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის რევაზ ჯაველიძის განცხადებით, აღნიშნული საკითხი მოცემულ ეტაპზე შიდა განხილვის საგანია და კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთება საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული გზები. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ინტერესი და OGP საქართველოს სამდივნო ფორუმს მეტი დეტალით დაუბრუნდება.

USAID GGI “დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ დირექტორის, ლევან სამადაშვილის მოსაზრებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის თავისუფლების კანონი ერთიანი სახის იქნება მიღებული, თუ მასში მოცემული საკითხები სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმაში დარეგულირდება. მთავარია, უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრონული მმართველობის მიმართულებით საკითხის კოორდინაცია და პრობლემის დროული მოგვარება.

- **თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნება**

საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელმა ირინა აღაპიშვილმა განაცხადა, რომ გარკვეული პერიოდია არსებობს დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნების იდეა და კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა დეკლარაციების ღია ფორმატში, (Excel) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. საჯარო სამსახურის ბიურო და IDFI შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე ვიწრო სამუშაო შეხვედრის გამართვაზე.

- **სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (გასაუბრების ღიაობის უზრუნველყოფა) სასამართლო გადაწყვეტილებების სრულად გამოქვეყნება მათ შორის ღია**

ფორმატში

საერთაშორისო გამჭვირვალობის ანალიტიკოსმა მაგდა ჯიმშელეიშვილმა განმარტა, რომ ინიციატივა დღის წესრიგში 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ დადგა, რომლის მიხედვითაც ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია. როგორც მან აღნიშნა, უწყების მხრიდან წარმოდგენილ პასუხში მითითებულია, რომ არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, რაზეც TI-მ ითხოვა დაზუსტება, თუ რას გულისხმობს და რა ეტაპზეა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საკითხი.

ინიციატივასთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა თამარ პაპაშვილმა. მისი განცხადებით, ინიციატივა (გასაუბრების ღიაობის უზრუნველყოფა) გულისხმობს კანონის წესით გასაუბრების ღიაობის საკითხის მოწესრიგებას და მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ საკითხზე უწყების სახელით პოზიციის დაფიქსირება, ვინაიდან, საკითხის მოწესრიგება პარლამენტის კომპეტენციაში შედის. შესაბამისად, თამარ პაპაშვილის აზრით, მიზანშეწონილია, ინიციატივის განხილვა პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან. მან ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის ივლისში, პარლამენტში ინიცირებულ იქნა ორგანული კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესების პროცესების მიმართ იმავე სტანდარტებს მოიაზრებს, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შემთხვევაშია. თუმცა, მისი თქმით, ამ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ფლობს ინფორმაციას თუ რა პროცესები მიმდინარეობს აღნიშნულ კანონპროექტთან მიმართებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის ირაკლი გოცირიძის განცხადებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარსულში ჰქონდა გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება აღებული და ამ მიზნით ვებგვერდიც შეიქმნა, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია ღია ფორმატში უნდა გამოქვეყნდეს, უწყებამ დროებით შეაჩერა აღნიშნული პროცესი. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საკითხი, რაც მოიცავს გარკვეულ რეგულაციებს პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით. უწყების პოზიციით, გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება სწორედ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების შემდეგ განახლდება.

დისკუსიის ფარგლებში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორმა ლევან ავალიშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს შეახსენა, რომ გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ორგანული კანონი აწესრიგებს და შესაბამისად, გამოქვეყნების სტანდარტებს ეს ხელს არ უშლის. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს დავა ინფორმაციის გაცემასთან და არა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

- **უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება ვებგვერდზე**

საერთაშორისო გამჭვირვალობის ანალიტიკოსმა მაგდა ჯიმშელეიშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პლენუმის დღის წესრიგები ვებგვერდზე ხელმისაწვდომია, გადაწყვეტილებები არ ქვეყნდება. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ითვლება აღნიშნული ვალდებულება შესრულებულად (ცალკეული შემთხვევები საჯარო ინტერესიდან გამომდინარე ქვეყნდება). დასმულ შეკითხვას უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა ანა შალამბერიძემ უპასუხა, რომელმაც განაცხადა, რომ გარკვეული ინფორმაცია ქვეყნდება, ასევე, სხდომებზე მონაწილეობას ხშირად

საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებიც იღებენ, მომართვის შემთხვევაში კი გაიცემა შესაბამისი ინფორმაცია, თუმცა, კანონით პირდაპირი ვალდებულება განსაზღვრული არ არის.

- **სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭირვალობის გაზრდა;**
- **ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის, დიმიტრი გულისაშვილის განცხადებით, უწყებამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც მოიცავს ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის მიმართულებას, რაც ფაქტობრივად პასუხობს IDFI-ის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდასთან დაკავშირებით. როგორც გულისაშვილმა განმარტა, კანონპროექტზე მუშაობა თითქმის დასრულებულია და გადაგზავნილია მთავრობის ადმინისტრაციაში. მან იმედი გამოთქვა, რომ კანონპროექტი დადებით შეფასებას მიიღებს და გადაიგზავნება საკანონმდებლო ორგანოში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანტიკორუფციული პროექტის მენეჯერის, ალექსანდრე ქევხიშვილის აზრით, შესყიდვების სისტემა ნამდვილად არის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე გამჭვირვალობის მხრივ, თუმცა, აუცილებელია სისტემის გაუმჯობესება და უფრო მაღალ დონეზე გადაყვანა, რაც გულისხმობს ღია მონაცემების ფორმატში შესყიდვების მონაცემთა ბაზის გამოქვეყნებას და მასზე წვდომის უზრუნველყოფას. მან აღნიშნა, რომ ღია მმართველობის გასული წლების სამოქმედო გეგმებში არსებობდა მსგავსი ვალდებულება (მსოფლიო ბანკთან ერთად) და გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია, ამის მაგალითია ღია მონაცემთა ვიზუალიზაციის ვებგვერდი, რომელიც 2019 წლის ზაფხულში ჩაიბარა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ. ალექსანდრე ქევხიშვილის განცხადებით, ვებგვერდის არსებობა კორუფციის შემცირების, მონიტორინგის გაძლიერების, მკვლევრებისათვის კვლევის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ბიზნესის წახალისებისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმია.

ქევხიშვილისა და გიორგი ონიანის (TI) კითხვაზე, თუ რატომ არ იზიარებს შესყიდვების სააგენტო არსებულ რეკომენდაციას, დიმიტრი გულისაშვილმა უპასუხა, რომ ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით, ინფორმაციის გამჭვირვალობის საკითხები კანონპროექტშია გაწერილი, ამასთან, უწყების სურვილია, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში რეალურად შესრულებადი აქტივობები გაიწეროს, ამ ეტაპზე კი ღია მმართველობის ახალ სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ვალდებულების გაწერა, მწირი რესურსების გათვალისწინებით, არ იგეგმება.

- **სააქციო საზოგადოებების მეწილეთა გამჭვირვალობა**

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს პროექტების მენეჯერის ალექსანდრე ქევხიშვილის განმარტებით, სამეწარმეო ორგანიზაციების მფლობელობის და მართვის მიმართულებით კორუფციასთან ბრძოლისა და მონიტორინგის ჭრილში, არსებობს გარკვეული ხარვეზები. როგორც მან აღნიშნა, ბიზნესის დაარსების პროცესში მეწილეების შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრში, ბიზნეს რეესტრში ცნობილია, თუმცა, წილების გადანაწილების შემთხვევაში, ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი აღარ არის. ქევხიშვილმა განაცხადა, რომ გაურკვეველია, თუ რატომ არის სააქციო საზოგადოების მფლობელების შესახებ ინფორმაცია საჯარო, მისი სარგებლიანობიდან გამომდინარე. ამასთან, დამატებით დასძინა, რომ შესაძლოა განხილულ იქნეს მეწილეთა არა სრულად, არამედ,

გარკვეულ პროცენტზე ინფორმაციის გასაჯაროების საკითხიც.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის ლაშა ლობჟანიძის განმარტებით, საკითხზე პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია იუსტიციის სამინისტრო და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თუმცა, სამეწარმეო ორგანიზაციების მფლობელების მეწილეთა რეესტრს უწყება არ აწარმოებს, ვინაიდან, მათ კანონი აღნიშნულს არ ავალდებულებთ. ლობჟანიძის განცხადებით, რეესტრს შეიძლება აწარმოებდეს თავად საზოგადოება, უფლებამოსილი პირი ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი, რომელსაც თავის მხრივ კოორდინაციას უწევს ეროვნული ბანკი. აღინიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელ უწყებად არასწორად არის განსაზღვრული და ამ შემთხვევაში საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ადვოკატირების ოფიცერმა, ლევან ფანიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გაურკვევლობების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია ვალდებულების მოდიფიცირება იმგვარად, რომ მან მოიცვას გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლის საფუძველზეც მოხდება უწყების მიერ მონაცემების გასაჯაროება.

გიორგი ონიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იუსტიციის სამინისტროს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად, საჭიროა დამატებითი შეხვედრის გამართვა. ქეთი ცანავამ აღნიშნა, რომ შეხვედრას დაგეგმავს OGP საქართველოს სამდივნო.

- **საჯარო სამთავრობო ბაზებთან პირდაპირი ტექნიკური წვდომის უზრუნველყოფა**

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანტიკორუფციული პროექტის მენეჯერის ალექსანდრე ქევხიშვილის მოსაზრებით, სამთავრობო ბაზებთან პირდაპირი ტექნიკური წვდომა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისა და აკადემიის წარმომადგენლებისთვისაა სარგებლიანი და თავის მხრივ, ღია მონაცემების სფეროში წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო სტანდარტს. ქევხიშვილის მოსაზრებით, სამთავრობო ბაზებთან პირდაპირ წვდომას, როგორც ეკონომიკური, ისე საზოგადოებრივი/სოციალური სარგებელი აქვს, რომლის არაერთი მაგალითი არსებობს მსოფლიოში. ღია მმართველობის სამდივნოს ხელმძღვანელის ქეთი ცანავას განცხადებით, სამდივნო საერთაშორისო გამჭვირვალობის წარმომადგენლებთან დააზუსტებს, თუ რა ტიპის ბაზები მოიაზრება კონკრეტულად, სამდივნო იმსჯელებს და დაუკავშირდება ორგანიზაციას შემდგომი განხილვისთვის.

- **საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა**

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, ლაშა ლობჟანიძის განცხადებით, დღესდღეობით სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს კანონმდებლობით დაკისრებული არ აქვს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის წარმოების ვალდებულება, შესაბამისად, მისი აზრით, დასაზუსტებელია, რამდენად რელევანტურია აღნიშნული უწყების, როგორც პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრა.

საკითხზე მსჯელობა განაგრძო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობამ ლონდონის ანტიკორუფციული სამიტის ფარგლებში აიღო. კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო

მკვეთრად ჩამორჩება ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა უკრაინა და სომხეთი. მისი აზრით, მთავრობამ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აქცენტი მსხვილ ვალდებულებებზე უნდა გააკეთოს, რომლებსაც ქვეყნისთვის რეალური შედეგის მოტანა შეუძლიათ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანტიკორუფციული პროექტების მენეჯერმა ალექსანდრე ქევხიშვილმა განაცხადა, რომ საკითხის განხილვაში სასურველია ჩაერთოს სსიპ - ფინანსური მონიტორინგის სამსახურიც. მან ასევე აღნიშნა ფულის გათეთრების შესახებ ახალი კანონი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ბენეფიციარი მესაკუთრეების ცნებას და გარკვეულწილად მოიაზრებს ინფორმაციის მობილიზებას. ქევხიშვილის განმარტებით, ვალდებულების აღება ქვეყნისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება და იქნება დასტური იმისა, რომ სახელმწიფო რეალურად იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ღია მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელის, დავით მაისურაძის განცხადებით, ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის წარმოება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე სტანდარტად ითვლება. მისი თქმით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ტექნიკური თვალსაზრისით არის მოაზრებული პასუხისმგებელ უწყებად, თუმცა, შესაძლებელია საკითხის შემდგომი განხილვა.

შედგა შეთანხმება საკითხის ვიწრო სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილვასთან დაკავშირებით.

- **სახელმწიფო არქივების ღიაობის რეფორმა (II ტალღა)**

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილემ, გიორგი სოფრომაძემ არქივების ღიაობის შესახებ არსებული სიტუაცია გააცნო ფორუმის მონაწილეებს. როგორც სოფრომაძემ განაცხადა, არქივში დაცული დოკუმენტების დიდი ნაწილი პერსონალური მონაცემების შემცველია, არსებული კანონით კი 75 წლის გასვლამდე მასზე თავისუფალი დაშვება შეზღუდულია. რაც შეეხება რეკომენდაციებს საარქივო მასალების საკუთარი ტექნიკური საშუალებებით გადაღებასთან დაკავშირებით, გიორგი სოფრომაძემ განაცხადა, რომ ასლების გადაღება ფასიანია და ამ სამუშაოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი ასრულებს, რათა თავიდან აირიდონ დოკუმენტის დაზიანება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით. დოკუმენტების ღიაობასთან დაკავშირებით, არქივის გენერალური დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ ეროვნული არქივის ვებგვერდზე ეტაპობრივად ხორციელდება დოკუმენტების ასლების გამოფენა სხვადასხვა თემატიკის მიხედვით და ასევე, ეტაპობრივად გაგრძელდება არსებული დოკუმენტების გამოქვეყნება ვებგვერდზე.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, არქივის არსებული მიდგომა ეწინააღმდეგება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო პრაქტიკას და ამის შესახებ არაერთი კვლევა არსებობს. დოკუმენტების გადაღებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ შეზღუდულია დღიურად მოხმარების რაოდენობა. მისთვის გაუგებარია რატომ არ არის შესაძლებელი საკუთარი მობილური ტექნიკის საშუალებით უკვე დასკანერებული დოკუმენტაციისთვის ფოტოს გადაღება. კლდიაშვილის თქმით, არაერთ მკვლევარს ეთქვა უარი მე-19 საუკუნის დოკუმენტებზე წვდომაზე, რაზეც სოფრომაძემ განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტები შესაძლოა დოკუმენტების სარესტავრაციო საქმიანობას ეხებოდა.

გიორგი კლდიაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს არქივს ყველა საჭირო პროცედურასა და შემდგომ ნაბიჯებში, რომელიც მიზნად დაისახავს არსებული მიდგომების შეცვლას და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

- **სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემების გამჭვირვალობის გაზრდა**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ლევან ფანიაშვილმა დეტალურად ისაუბრა აღნიშნულ ინიციატივაზე და განმარტა, რომ ის ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილიც იყო. ლევან ფანიაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია ახალ სამოქმედო გეგმაში დასრულდეს აღნიშნული ვალდებულების განხორციელება. როგორც მან აღნიშნა, რეკომენდაცია მოიცავს ორ კომპონენტს - პირველი კომპონენტი გულისხმობს საჯარო ინსტიტუციების მიერ გაცემული სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სტანდარტების დადგენას საკანონმდებლო დონეზე - ბევრი სახელმწიფო უწყება (სამინისტრო იქნება, თუ სსიპ) სხვადასხვა მიმართულებით გასცემს სახელმწიფო გრანტებს და იყენებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ამ მნიშვნელოვან მექანიზმს, თუმცა კანონით არ არის დადგენილი მინიმალური სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იყოს ამ პროცესის გამჭვირვალობა. რაც შეეხება ინიციატივის მეორე კომპონენტს, როგორც ლევან ფანიაშვილმა აღნიშნა, ეს გულისხმობს მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის გაცემის უფლების მინიჭებას. მისი თქმით, ინიციატივის მიზანია, მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და წარედგინოს პარლამენტს.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, რევაზ ჯაველიძემ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელს სთხოვა უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, რას ხედავს ორგანიზაცია მნიშვნელოვან სტანდარტად და რა არის გამოსასწორებელი იმ მოცემულობაში, რაც დღეს არსებობს. დამატებით, რევაზ ჯაველიძემ განაცხადა, რომ საპარლამენტო მდივნის რანგში, მოიძიებს ინფორმაციას უკვე არსებულ პროექტთან დაკავშირებით, პარალელურად კი, ადმინისტრაცია იმუშავებს საუკეთესო პრაქტიკის მოძიების მიმართულებით.

- **ბუნებრივი რესურსების განკარგვისას გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა**

როგორც სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, თათული ჭუბაბრიამ აღნიშნა, სხვადასხვა განვითარების პროექტში დიდია სამოქალაქო წინააღმდეგობა იმ ეტაპებზე, როდესაც სამშენებლო ნებართვები უკვე გაცემულია, დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებია მიღებული, მიწები გასხვისებულია, მემორანდუმები გაფორმებულია და ა.შ. იმისათვის, რომ სამომავლოდ ეს პრაქტიკა შეიცვალოს, თათული ჭუბაბრიას თქმით, აუცილებელია, საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილი იყოს იმ ეტაპებზე, რა ეტაპებზეც წყდება, რომ ესა თუ ის განვითარების პროექტი კონკრეტულ ლოკაციაზე უნდა განხორციელდეს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, კვლევისას არ ჩანს, რა ეტაპზე მიიღება ეს გადაწყვეტილებები და როგორ არის ისინი დასაბუთებული ეკონომიკური თვალსაზრისით, თუ განვითარების პერსპექტივით. როგორც თათული ჭუბაბრიამ აღნიშნა, ინიციატივა გულისხმობს მონაწილეობის უზრუნველყოფას იქამდე, სანამ პროექტი გაიყიდება, ამასთან დასძინა, რომ ინიციატივა ორ კომპონენტს ფარავს - ჰესების შემთხვევაში მემორანდუმების ხელმოწერის ეტაპამდე, ხოლო წიაღის შემთხვევაში, იმ ეტაპამდე, ვიდრე აუქციონზე გატანის გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა, თორნიკე ყაზარაშვილმა განმარტების სახით აღნიშნა, რომ კერძო-საჯარო თანამშრომლობის კანონი აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ რომელიმე სახელმწიფო კომპანია იყოს ჩართული რომელიმე პროექტში, ხოლო ენერგეტიკის ნაწილში 99% იმ განაცხადებისა, რაც ენერგეტიკულ პროექტებზე შემოდის ეკუთვნის კერძო ინვესტორებს. მისი თქმით, მხარდაჭერის სქემა, რომელიც სახელმწიფომ შეიმუშავა 2020 წლის 2 ივლისს, არის კერძო-საჯარო პარტნიორობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტროს საიტზე ხელმისაწვდომია გაფორმებული მემორანდუმები. ასევე, მისი თქმით, უმეტესი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია საზოგადოების ინტერესებთან, გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია. თორნიკე ყაზარაშილის განცხადებით, ამ ეტაპზე მზადდება სამინისტროს ახალი ვებგვერდი, რომელზეც გაგრძელდება პრაქტიკა და გამოქვეყნდება ის მემორანდუმები, რომელიც არის საჯარო. როგორც თორნიკე ყაზარაშვილმა აღნიშნა, არის მემორანდუმები დიდი პროექტების შესახებ, რომელთა ან მუხლები ან თავად მემორანდუმი კონფიდენციალურია, თუმცა, თუ მეორე მხარის მიერ იქნება თანხმობა, რომ გასაჯაროვდეს კონკრეტული მემორანდუმი, სამინისტრო აუცილებლად გაასაჯაროვებს მას. თორნიკე ყაზარაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ პროცესებზეც, რასაც ნებისმიერი პროექტი გადის დასაწყისიდან ოპერირების გაშვებამდე - არსებობს მთავრობის რამდენიმე დადგენილება, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ენერგეტიკული პროექტები; კერძო ინვესტორი, თუ რომელიმე ტერიტორიაზე აღმოაჩენს ენერგეტიკულად კარგ პროექტს, ატარებს წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას და ამ კვლევას წარმოადგენს სამინისტროში განსახილველად. როგორც თორნიკე ყაზარაშვილმა განმარტა, თუ იმ დროისათვის რა მოთხოვნებიც იყო დადგენილების შესაბამისად, პროექტი მისაღებია, სამინისტრო აძლევს უფლებას განახორციელოს უკვე დეტალური კვლევები, რომლის დროსაც თავად ინვესტორია დაინტერესებული ადგილობრივებთან ჰქონდეს მჭიდრო და კარგი ურთიერთობა, რადგანაც ის თანხა, რაც პირმა კვლევებში დახარჯა, ამაოდ დახარჯული არ გამოვიდეს. გარდა ამისა, მისი თქმით, საჯარო განხილვები სწორედ იმ მიზნით ტარდება, რომ ვინც დაინტერესებულია, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს პროექტის შესახებ. თუ პროექტს გარემოს დაცვის კუთხით დადებითი გადაწყვეტილება არ აქვს, ის ფიზიკურად ვერ მიიღებს ნებართვას.

სამინისტროს წარმომადგენელს გამოეხმაურა სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელი, თათული ჭუბაბრია და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივის ფარგლებში, საუბარია მონაწილეობაზე მანამ, სანამ მემორანდუმი გაფორმდება, ხოლო სამინისტროს წარმომადგენელი საუბრობს უკვე ხელმოწერილი მემორანდუმების ხელმისაწვდომობასა და მათ ვებგვერდზე განთავსებაზე. როგორც თათული ჭუბაბრიამ აღნიშნა, მოსახლეობა მონაწილეობას იქამდე ითხოვს, სანამ ქვეყანა ვალდებულებას აიღებს დიდი პროექტების განხორციელების მიმართულებით.

ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელი, ქეთი გუჯარაიძე გამოეხმაურა თორნიკე ყაზარაშვილის კომენტარს და აღნიშნა, რომ სწორედ იმ ეტაპიდან, როდესაც კერძო პირი აღმოაჩენს საინტერესო ტერიტორიას, უნდა დაიწყოს საზოგადოების მონაწილეობა და არა მაშინ, როდესაც გზშ ან ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მზადდება. მისი თქმით, კარგი ტერიტორიის აღმოჩენა ნიშნავს იმას, რომ იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა არის პოტენციური გადაწყვეტილების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, ხოლო მემორანდუმის გაფორმების შემდეგ მონაწილეობა, ვერ ჩაითვლება რეალურ მონაწილეობად.

ქეთი გუჯარაიძე დააყენა ინიციატივა შეიქმნას ცალკე ჯგუფი, სადაც განიხილება ბუნებრივ

რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა. ფორუმის შეხვედრაზე ასევე გადაწყდა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაიმართება დამატებითი სამუშაო შეხვედრა ინიციატივის დამუშავებისა და დეტალების დაზუსტების მიზნით.

სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, გალინა ბიწაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა წიაღის შესახებ კოდექსზე, სადაც შემოთავაზებული ინიციატივა და მექანიზმები იქნება განხილული და დამუშავებული. ამასთან, მისი თქმით, კოდექსის შემუშავება ითვალისწინებს საჯარო განხილვებსაც. გალინა ბიწაძის განცხადებით, აღნიშნული საკითხის დამატებითი ინიციატივის სახით შემოთავაზების საჭიროებას ვერ ხედავს, რადგანაც, კოდექსის სამუშაო ვერსიის მომზადების დასრულებისთანავე, უზრუნველყოფილი იქნება მისი ხელმისაწვდომობა და დამატებითი განხილვების გამართვის შესაძლებლობა. თავის მხრივ, სააგენტომ აღნიშნა, რომ მზად არის შემოთავაზებული ინიციატივა განავრცოს კანონმდებლობაში. როგორც მან აღნიშნა, ასევე არსებობს წიაღის სექტორის სტრატეგია, სადაც საუბარია, რომ საზოგადოების მონაწილეობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და ჩართულობის ხარისხი გაზრდილი.

- **საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის გათვალისწინების შემთხვევაში, ხელისუფლება აჩვენებს მის ძალისხმევას გამჭვირვალობის მიმართულებით, გარდა ამისა, აღნიშნული აქტუალური თემატიკაა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებშიც, რომელსაც არაერთი OGP სახელმწიფო უერთდება. კლდიაშვილის განცხადებით, ორგანიზაციას მომზადებული აქვს არაერთი კვლევა და ანალიზი იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველომ ამ პროცესში. მისი აზრით, ქვეყანამ უნდა აიღოს ვალდებულება, EITI-სთან მიერთების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა, დავით მაისურაძემ დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ვალდებულების შინაარსი არ არის EITI-სთან მიერთება, არამედ ინიციატივა გულისხმობს მიერთების პროცესის დაწყებას. როგორც დავით მაისურაძემ აღნიშნა, მიერთების პროცესი საკმაოდ კომპლექსურია - ჯერ შესწავლილ უნდა იქნეს საკანონდებლო ბაზა, რომ დაკმაყოფილდეს EITI-ს სტანდარტი, შემდეგ EITI შეამოწმებს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. აღნიშნულის შემდგომ ქვეყანას მოეთხოვება სამოქმედო გეგმის მომზადება რათა მიიღოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. თავის მხრივ სამოქმედო გეგმის განხორციელებას რამდენიმე წელი დასჭირდება და უკვე შემდგომ ქვეყანას შეუძლია გახდეს ინიციატივის წევრი.

სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, გალინა ბიწაძემ აღნიშნა, რომ სააგენტოს კარგად ესმის, რა რთულ პროცედურებთან არის დაკავშირებული ინიციატივასთან მიერთება და სწორედ ამიტომ, სააგენტოს პოზიციაა, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა შესაძლებლობების კვლევა, რა რესურსი იქნება საჭირო სააგენტოს მხრიდან, რომ ინიციატივის დანერგვის სამოქმედო გეგმა შემუშავდეს. აქვე, გალინა ბიწაძემ აღნიშნა, რომ სააგენტო მზად არის დაინერგოს EITI-ის პრინციპები, შესაბამისად, ორგანიზაცია გადავიდა საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების ეტაპზე.

როგორც გალინა ბიწაძემ აღნიშნა, აუცილებელია შესაძლებლობების კვლევა განხორციელდეს დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერის ფარგლებში. გალინა ბიწაძის თქმით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია დასრულდეს კოდექსზე მუშაობა, რათა გაიმართოს საკანონდებლო ბაზა, ხოლო შემდგომ განხორციელდეს შესაძლებლობების კვლევა. უწყება გამოთქვამს სურვილს, კომუნიკაცია გაგრძელდეს ინიციატივასთან დაკავშირებით და განხილულ იქნეს, რა სახით და როგორ შეიძლება აღნიშნული ინიციატივის მოდიფიცირება.

- **სახელმწიფო სერვისების ინდექსის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია საპილოტე სახელმწიფო უწყებებში (ინიციატორი: USAID)**

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ ფორუმს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა ინიციატივასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს კონკრეტული საკითხი მუშავდება საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში, რომლის ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფო სერვისების მიწოდებაა. მისი თქმით, ამ ნაწილში შემუშავებულია, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა სერვისების მიწოდების ერთიანი სტანდარტი, რომელიც ოთხი ძირითადი მიმართულებით (სერვისების შექმნა, მიწოდება, ხარისხის უზრუნველყოფა და განფასება) დაადგენს სტანდარტებს სერვისის მიმწოდებელი ყველა უწყებისთვის. როგორც ქეთი ცანავამ აღნიშნა, რეფორმის ფარგლებში დაიწყო ასევე ინდექსის თემატიკაზე მუშაობა, რომელსაც უძღვება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ასევე ამ ნაწილში ჩართული იყო და სამომავლოდაც იმუშავებს სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო. სამდივნოს ხელმძღვანელის თქმით, მართალია, სერვისები OGP-ის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა, თუმცა სამდივნოს შემოთავაზებაა ეს ნაწილი PAR-ის ფარგლებში დარჩეს და იქ გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშაობა.

USAID/GGI-ის პროექტის ხელმძღვანელმა, ლევან სამადაშვილმა ფორუმის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა, რომ GGI-ის პროექტი დასასრულს მიუახლოვდა და, სამწუხაროდ, დონორის სახით ისინი ვერ შეძლებენ იმ აქტივობების ფინანსურ მხარდაჭერას, რომელთა ინიციატორებიც იყვნენ. აქვე, ლევან სამადაშვილმა აღნიშნა, რომ ორი წლის წინ, როდესაც ინიციატივა წარადგინეს, მოიაზრებდნენ, რომ თავად დაუჭერდნენ მხარს განხორციელების პროცესს. ლევან სამადაშვილის თქმით, ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) ყოველთვის აღიქვამდნენ, როგორც პლატფორმას, რომელსაც ტრანსფორმაციული ცვლილებების ხელშეწყობა შეუძლია. ინდექსთან დაკავშირებით, როგორც ლევან სამადაშვილმა აღნიშნა, OGP-ის ნაწილად მისი მოაზრება ხელს შეუწყობდა ინდექსის რეალურ დანერგვას, რადგან საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების არშესრულება არ იწვევს იმხელა რეზონანსს, როგორც ეს OGP-ის შემთხვევაში ხდება.

- **სახელმწიფო დასაქმებისა და ეკონომიკურ პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (ინიციატორი: UNDP)**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა, მარიამ ბეგოიძემ აღნიშნა, რომ ინიციატივა ფაქტობრივად პასუხობს სამინისტროს პროექტს, რომელიც 2020 წელს დასრულდა - შეიქმნა საიტი, სადაც განთავსდა ეკონომიკური პროგრამები, შემდგომ პროექტი დაინერგა საზოგადოებრივ ცენტრებში, იუსტიციის სახლებში, ყველა რეგიონში და ხელი შეეწყო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. მარიამ ბეგოიძის თქმით, UNDP-სთან დაზუსტდება რამდენად საჭიროა ამ საკითხის ასახვა ახალ სამოქმედო გეგმაში.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ აღნიშნა, რომ მოგვიანებით

ჩაინიშნება შეხვედრა UNDP-ის წარმომადგენლების ჩართულობით, სადაც განიხილება აღნიშნული ინიციატივის რელევანტურობის საკითხი.

- **ეთნიკურად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება საჯარო სექტორში დასაქმების და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის სხვადასხვა სფეროებში**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა, თინა ღოღელიანმა აღნიშნა, რომ საჯარო სექტორში დასაქმების მიმართულებით ეთნიკური უმცირესობების ჭრილში სტატისტიკის წარმოება ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია. აქვე, დამატებით განაცხადა, რომ საკითხი აღნიშნულია სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიაში ამოცანის სახით და ის ეხება სხვადასხვა სფეროში ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკის წარმოებას პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძველზე. შესაბამისად, მისი თქმით, უწყება იზიარებს ამ წინადადებას, თუმცა, ვერ ხედავს საჭიროებას ეს საკითხი ორივე დოკუმენტში იყოს ასახული.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, ქამრან მამედლიმ აღნიშნა, რომ ეს კონკრეტული ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან, როგორც ორგანიზაცია ბოლო წლების განმავლობაში აკვირდება, როგორც ქვემო ქართლში, ისე ჯავახეთში, საჯარო სამსახურებში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკა ხელმისაწვდომი არ არის. მისი თქმით, ორგანიზაცია მიმართავს ხოლმე ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს სტატისტიკასთან დაკავშირებული მოთხოვნით, თუმცა ხშირად ისინი არ აწარმოებენ ასეთი სახის სტატისტიკას. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ამ საკითხის მოგვარებამ შესაძლოა ნათლად გამოკვეთოს, რა ხარვეზები არსებობს ეთნიკური უმცირესობების საჯარო სამსახურში დასაქმების კუთხით.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, თეონა ფირანიშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიაში უკვე არის ასახული, რომ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი მოხდება, თუმცა, ბუნდოვანია რა არის ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სტატისტიკები - მხოლოდ დასაქმების კუთხით მაჩვენებლების შეგროვება, თუ სახელმწიფო პროგრამების კუთხით სტატისტიკაც.

საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელმა, ირინა აღაპიშვილმა ხაზი გაუსვა ზოგადად საჯარო სამსახურში სტატისტიკის წარმოების საკითხს და აღნიშნა, რომ UNDP-ის მხარდაჭერით, უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს კვლევა საჯარო სამსახურში საჭიროებებთან დაკავშირებით. მისი თქმით, კვლევა მალე დასრულდება, ხოლო შემდგომ ეტაპზე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მეთოდოლოგია, როგორ შეიძლება საჯარო სამსახურებმა აწარმოონ სტატისტიკა, რომელიც ეთნიკურად სეგრეგირებული იქნება. ბიურომ მზადყოფნა გამოხატა, როგორც პარტნიორი უწყება, ჩაერთოს ამ ინიციატივის განხორციელების პროცესში.

USAID-ის წარმომადგენლის, ლინა პანტელეევას თქმით, მნიშვნელოვანი იქნება ინიციატივის განხილვის პროცესში ასევე ჩაერთოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც. მისი თქმით, USAID-მა ითანამშრომლა სამინისტროსთან და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, შემუშავდა კონცეფცია მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკის შეგროვების სისტემის განვითარებისთვის. ასევე, მისი თქმით, საქსტატი აპირებს შექმნას ონლაინ პლატფორმა, რომელზეც განთავსდება მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებული სტატისტიკა.

OGP საქართველოს სამდივნოს ინიციატივით, საკითხზე დაიგეგმა შემდგომი ვიწრო თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

თემატური მიმართულება: სოციალური მიმართულება - ფორუმზე გადაწყდა, რომ ცალკე, ფორუმის დამატებითი სამუშაო შეხვედრა დაეთმობა აღნიშნული თემატური მიმართულების განხილვას.

თემატური მიმართულება: უსაფრთხო გარემოს შექმნა

- **ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში თემზე ორიენტირებული პოლიციის განვითარება**

შინაგან საქმეთა სამინიტროს წარმომადგენელმა გიორგი მიქაძემ აღნიშნა, რომ მართლწესრიგის ოფიცრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა. ამასთან, გიორგი მიქაძის განცხადებით, შსს-ს მიერ წარმოდგენილი ინიციატივა მოიცავს ამ თემასაც და ცალკე გამოყოფის აუცილებლობას უწყება ვერ ხედავს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, ქამრან მამედლიმ აღნიშნა, რომ ორგანიზაცია იწყებს პოლიციის მუშაობის კვლევას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მისი თქმით, ორგანიზაციის გამოცდილებით, ასეთ რეგიონებში ხშირია პოლიციის მუშაობის პრობლემური პრაქტიკები და არათანმიმდევრულად მუშაობა რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ქამრან მამედლიმ მაგალითისთვის დაასახელა ადრეული ქორწინების პრაქტიკები, როდესაც, მისი თქმით, პოლიციელები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ საკითხებს. როგორც მან ხაზი გაუსვა, ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, პოლიციის მიდგომაა, რომ არ ჩაერიოს, რასაც ხსნის იმით, რომ ეს არის თემის პრაქტიკა და ამ თემაში მათი ჩარევა აგრესიას გამოიწვევს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, თეონა ფირანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მისი აზრით, მართლწესრიგის რეფორმა ამ კონკრეტულ საკითხებს არ ფარავს. მისი განმარტებით, წარმოდგენილი ინიციატივა მოიცავს როგორც პოლიციის მუშაობის შესწავლას ამ რეგიონებში, ისე სასწავლო პროგრამებს პოლიციისთვის. ასევე რეკომენდაციებში საუბარია პოლიციის კომუნიკაციაზე ადგილობრივ თემთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკურად და რელიგიურად მოტივირებულ კონფლიქტებში, რაც წელს და წინა წელს განსაკუთრებით ჩანდა როგორც ბუკნარში, ისე დმანისში.

შინაგან საქმეთა სამინიტროს წარმომადგენელმა, გიორგი მიქაძემ ორგანიზაციას სთხოვა კვლევის დასრულების შემდგომ კვლევის დოკუმენტის წარმოდგენა, შესაძლებელი იყოს მაგალითებით გამყარებული კონკრეტული ხარვეზების განხილვა. აღნიშნულის შემდგომ კი უწყება მაქსიმალურად გაითვალისწინებს რეკომენდაციებს და განიხილავს ინიციატივის ამ ფორმით ასახვას სამოქმედო გეგმაში.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა, თეონა ფირანიშვილმა დამატებით დასძინა, რომ მნიშვნელოვანია პოლიციას ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ადგილობრივი კონტექსტის შესახებ და ჰქონდეს გავლილი პროგრამა, რომელიც მათ ასწავლის, როგორ უნდა მართონ ასეთი სახის

კონფლიქტები.

გიორგი მიქაძემ აღნიშნა, რომ პოლიციელები სხვადასხვა ტრენინგებში მუდმივად გადიან გადამზადებას, ხოლო რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის კუთხით გადაცდომებს, ამ მიმართულებით უწყებაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების მონიტორინგის დეპარტამენტი უკვე მუშაობს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა, თინა ღოღელიანმა აღნიშნა, რომ განხილული საკითხი ასევე არის ასახული სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიაში კონკრეტული ამოცანის სახით.

თემატური მიმართულება: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

- **ძალოვან უწყებებში მამხილებელთა დაცვის სპეციალური წესების დადგენა**

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა, სანდრო ქევხიშვილმა აღნიშნა, რომ ინიციატივაში სამი უწყება იყო დაკონკრეტებული, თუმცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უკვე შეასრულა ეს ვალდებულება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, გიორგი მიქაძის თქმით, შსს-ში საკითხი კვლავ განხილვის პროცესშია და პოზიცია ფორუმს ჩამოყალიბებისთანავე ეცნობება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა, სანდრო ქევხიშვილმა დააზუსტა, რომ კანონით დადგენილი ვალდებულება აღნიშნულთან დაკავშირებით 2015 წლიდან არსებობს და დაინტერესდა იმით, თუ რას გულისხმობს განხილვის პროცესი - უწყება განიხილავს შეასრულოს კანონი, თუ განიხილება როგორ უნდა შესრულდეს ეს ვალდებულება. როგორც სანდრო ქევხიშვილმა აღნიშნა, OGP-ის სამოქმედო გეგმა არის ორწლიანი, შესაბამისად, თუ ახლა უწყება უარს ამბობს ინიციატივის სამოქმედო გეგმაში ასახვაზე, მისი თქმით, საინტერესოა, ორი წლის განმავლობაში გადაწყდება თუ არა ეს საკითხი.

აღნიშნულ კომენტარზე გიორგი მიქაძემ განმარტა, რომ საკითხს კიდევ ერთხელ გაივლის უწყების ხელმძღვანელობასთან, რადგანაც, როგორც მას აქვს ინფორმაცია, ამ ეტაპზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან მიმდინარეობს განხილვა და კონსულტაციები რათა გათვალისწინებული იქნეს როგორ დარეგულირდა უწყებაში ეს საკითხი, რა შედეგები მოყვა მას და ა.შ.

- **დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს ჩამოყალიბება**

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ონიანმა მოკლედ მიმოიხილა ინიციატივის პრეისტორია და აღნიშნა, რომ აღნიშნული არის საკითხი რომელზეც თანხმდება პროცესში ჩართული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომ ის წარმოადგენს ე.წ. ვარსკვლავურ ვალდებულებას.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, რევაზ ჯაველიძის თქმით, ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონთან ერთად, თუმცა ამ ეტაპზე სააგენტოს შექმნის აუცილებლობას სახელმწიფო ვერ ხედავს. რევაზ ჯაველიძის თქმით, თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან კვლავ არის სურვილი, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყება, შესაბამისი კანონპროეტი არის წარდგენილი პარლამენტში და მათ

შეუძლიათ ამ მიმართულებით იაქტიურონ, მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან კი, არის პოზიცია, რომ ამის გაკეთების აუცილებლობა დღეს არ არის. როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ აღნიშნა, ამ ეტაპზე ნამდვილად არის იმის აუცილებლობა, რომ ადმინისტრაციაში გაძლიერდეს ანტიკორუფციული სტრუქტურული ერთეული, რომელიც მუშაობს ანტიკორუფციულ პოლიტიკაზე. მისი თქმით, ახლა მნიშვნელოვანია, ორწლიანი პაუზის შემდეგ, გააქტიურდეს ანტიკორუფციულ საკითხებზე მუშაობა და საბოლოო სახე მიიღოს იმ სტრუქტურამ, რომელიც ადმინისტრაციაში შეიქმნა - ანტიკორუფციული სამდივნო.

გიორგი ონიანმა მადლობა გადაუხადა რევაზ ჯაველიძეს გულწრფელობისთვის და დაამატა, რომ ისინი დიდი ხანია ამ საკითხზე მუშაობენ, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაც მომზადებულია და წარდგენილი კანონპროექტიც დიდწილად არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებულია. მისი თქმით, თუ რამე გამოსასწორებელია კანონპროექტში, უმჯობესია ამაზე გამახვილდეს ყურადღება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა, სანდრო ქევხიშვილმა განმარტების სახით აღნიშნა, რომ პოლიტიკის დაგეგმვის ფუნქცია ადმინისტრაციას რჩება და კანონპროექტში ამაზე არ არის საუბარი. მისი თქმით, აქ საუბარია, რომ როდესაც არსებობს დამოუკიდებელი სააგენტო, ის ჩართული უნდა იყოს პოლიტიკის დაგეგმვაში. ასევე, როგორც სანდრო ქევხიშვილმა განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ სააგენტოს შექმნა არ ნიშნავს სრულიად ახალი უწყების ჩამოყალიბებას, რადგან აქ საუბარია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ანტიკორუფციული სამსახურის გამოტანაზე და დამოუკიდებლობის გარანტიის შექმნაზე. ქევხიშვილმა ასევე მიმოიხილა ის ფუნქციები, რომლებიც დამოუკიდებელმა სააგენტომ სხვადასხვა უწყებიდან უნდა წაიღოს. სანდრო ქევხიშვილის აზრით, საჭიროა ძალიან კონკრეტული დასაბუთება იმისა, თუ რატომ ვერ ხედავს სახელმწიფო დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის საჭიროებას.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, რევაზ ჯაველიძის თქმით, თუ სახელმწიფოს პოზიცია არის, რომ ასეთი სააგენტოს შექმნის საჭიროება არ არსებობს, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ აქვს სურვილი ებრძოლოს კორუფციას. აქვე, რევაზ ჯაველიძემ მაგალითად მოიყვანა საერთაშორისო კვლევები, რომელთა მიხედვითაც საქართველო მოწინავე ადგილებს იკავებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში სხვადასხვა უწყების მიერ ბევრი რამ კეთდება კორუფციასთან საბრძოლველად.

რევაზ ჯაველიძემ აღნიშნა, რომ ის თავის გუნდთან ერთად განიხილავს როგორი ფორმატით შეიძლება გაგრძელდეს ამ საკითხზე მუშაობა და უკუკავშირით დაუბრუნდება ინიციატორ ორგანიზაციებს.

შეხვედრის დახურვა

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, რევაზ ჯაველიძემ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშნელოვანი ფორმატია კომუნიკაციის ასეთი ფორმა და ერთმანეთისთვის მოსაზრებების გაზიარება. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ამ შეხვედრის ორგანიზება დაგვიანდა, თუმცა, აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან არის მზაობა თანამშრომლობისთვის. რევაზ ჯაველიძის განცხადებით, შეიძლება კონკრეტულ ინიციატივებზე ვერ მოხდეს შეთანხმება სახელმწიფო უწყებებთან, თუმცა მთავრობის ადმინისტრაცია, როგორც OGP საქართველოს მაკოორდინირებელი უწყება, იმუშავებს ყველა უწყებასთან და კონკრეტული

წინადადებებით დაუბრუნდება არასამთავრობო ორგანიზაციებს.

შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რევაზ ჯაველიძემ აღნიშნა, რომ მისი სურვილია, უმოკლეს დროში ჩაინიშნოს საბჭოს სხდომა, რომელიც სასურველია ფიზიკური შეხვედრების ფორმატში გაიმართოს, ხოლო მანამდე, მისი განცხადებით, გაგრძელდება აქტიური მუშაობა და შიდაუწყებრივი განხილვები.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ყველას სურვილია ქვეყანა იყოს წარმატებული და ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს, რომ ეს ღია მმართველობის პარტნიორობის ფორმატში სრულიად შესაძლებელი და რეალისტურია. მისი თქმით, ე.წ. „ვარსკვლავური ვალდებულებების“ შესრულება გადაფარავს ყველა იმ ხარვეზს, რაც აქამდე საქართველოს ამ პროცესში ჰქონია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების (IDFI) წარმომადგენელმა, ლევან ავალიშვილმა შეხვედრის გამართვისთვის მადლობა გადაუხადა მთავრობის ადმინისტრაციას და აღნიშნა, რომ ორი წლის განმავლობაში დაგროვდა ბევრი საკითხი, რომლის განხილვას ერთი სრული დღე არ ეყო. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ OGP არის პლატფორმა იმისთვის, რომ ტრანსფორმაციული ცვლილებები განხორციელდეს. ამიტომაც, მისი თქმით, OGP-ში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები ხაზს უსვამენ „ვარსკვლავური ვალდებულებების“ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება არის რთული, თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ლევან ფანიაშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა ადმინისტრაციას შეხვედრის ორგანიზებისთვის და მზაობა გამოხატა დამატებითი შეხვედრებისა და კონსულტაციებისთვის.

შეხვედრის დასასრულ, OGP საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ თხოვნით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს, გადახედონ სახელმწიფო უწყებების ინიციატივებს და სამდივნოს უკუკავშირით დაუბრუნდნენ, რათა უწყებებიც მომზადებული იყვნენ შემდგომი შეხვედრისთვის, რომელზეც სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ინიციატივები განიხილება.

ასევე ქეთი ცანავამ ფორუმის შეხვედრის ორგანიზებისთვის და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა USAID/GGI-ს, ასევე მადლობა გადაუხადა თარჯიმანს და მარინა მხითარიანს, OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს წარმომადგენელს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ესწრებოდა შეხვედრას.

ფორუმის შეხვედრის მონაწილეები

უწყება/ორგანიზაცია	მონაწილე	პოზიცია
მთავრობის ადმინისტრაცია	რევაზ ჯაველიძე	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
	ვახტანგ ქათამაძე	პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი
	ქეთი ცანავა	საჯარო მმართველობის სამმართველოს უფროსი, OGP საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელი
	ანა ბარისაშვილი	OGP საქართველოს სამდივნო
	სოფო ბურდული	OGP საქართველოს სამდივნო
	ნუცა ჩალაური	OGP საქართველოს სამდივნო

თავდაცვის სამინისტრო	მადონა კორძაძე	ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის განყოფილების უფროსი
	ნათია ჯალიაშვილი	ადმინისტრაციის უფროსი
იუსტიციის სამინისტრო	ლანა მორგოშია	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მ.შ.
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მარიამ ბეგოიძე	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
	თორნიკე ყაზარაშვილი	ენერგეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	ივანე აბაშიძე	დირექტორის მოადგილე
	ნათია მიმინოშვილი	საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	ანა ბუტულაშვილი	სააგენტოს უფროსის მოადგილე
სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო	გალინა ბიწაძე	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	ეკა გორდაძე	ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებების უფროსი მენეჯერი
სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური	შორენა ყუბანეიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტატისტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს უფროსის მ.შ
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ანა ლუკავა	საერთაშორისო თანამშრომლობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ნიკოლოზ როსებაშვილი	ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	სოფიო ჩანთაძე	მთავარი სპეციალისტი
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ლაშა ზივზივაძე	სოფლის განვითარების სამმართველოს უფროსი
	ზაზა ნონაშვილი	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	სალომე დვალი	გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს ხელმძღვანელი
	მარიამ გაიმარჯვაშვილი	პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის სოფლის განვითარებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	ანა მანჯავიძე	გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი
	ეკატერინე ბენდელიანი	დირექტორის მოადგილე
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	ლიკა ქოქიშვილი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში	ლია გიგაური	სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი
	თინა ღოღელიანი	სამოქალაქო თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
საგარეო საქმეთა სამინისტრო	ნინო შეყრილაძე	გაეროს სამმართველოს უფროსი
	თამარ გრიგოლაია	II მდივანი
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	ირაკლი გოცირიძე	სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე
	თამარ პაპაშვილი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი
საქართველოს უზენაესი სასამართლო	ლია მჭედლიშვილი	სტატისტიკის სექტორის უფროსი
	ანა შალამბერიძე	სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის კოორდინატორი
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	ეკატერინე ქარდავა	ბიუროს უფროსი
	ირინა აღაპიშვილი	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
	ანა კობერიძე	მთავარი სპეციალისტი
სსიპ - იუსტიციის სახლი	ნატალია აბაშმაძე	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (ოპერაციების დირექტორი)
სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	დიმიტრი გულისაშვილი	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
	გიორგი ლაცაბიძე	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
თბილისის მერია	ირაკლი ჭინჭარაული	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მერიის აპარატის უფროსი
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ცოტნე ქარქაშაძე	სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს პარლამენტი	მაია ხმალაძე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მდივანი
შინაგან საქმეთა სამინისტრო	გიორგი მიქაძე	კვლევისა და რეფორმების სამმართველოს უფროსი
ადგილობრივი თვითმმართველობა		
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია	თინათინ ცოცხალაშვილი	საინფორმაციო განყოფილების უფროსი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	სოფიო ყანჩაველი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილება. უფროსი სპეციალისტი

	ნათია გახოკიძე	საზოგადოებას ურთიერთობის განყოფილების უფროსი
	ლალი ბანცაძე	უფროსი სპეციალისტი
	შოთა ნუცუბიძე	ზედამხედველობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	ელენე კრავცოვა	ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
ხონის მუნიციპალიტეტის მერია	ლადო ჯურხაძე	მერი
	თამარ უგულავა	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნანა თავდუმაძე	საკრებულოს აპარატის უფროსი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	მალხაზ მერაბიშვილი	მერის მოადგილე
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნატალია ზოიძე	წევრი
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	ნანა სვანიძე	საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი სპეციალისტი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	ილია ზარდიაშვილი	მერის პირველი მოადგილე
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები		
USAID	ლინა პანტელეევა	მმართველობის სპეციალისტი
USAID/GGI	ლევან სამადაშვილი	GGI პროგრამის ხელმძღვანელი
	მიხეილ დარჩიაშვილი	მმართველობის პროგრამის მენეჯერი
UNDP	გიორგი ნასრაშვილი	კარგი მმართველობის ექსპერტი
	ნანა წიკლაური	PAR პროექტის მენეჯერი
	სოფო ომანაძე	M&E
	ქეთევან ურიდია	შესაძლებლობების გაძლიერების კოორდინატორი - PAR
	თეა ლევიძე	გარემოსდაცვითი კოორდინატორი - GRF
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ალექსანდრე ქევხიშვილი	პროექტის მენეჯერი
	გიორგი ონიანი	დირექტორის მოადგილე
	მარიამ მამნიაშვილი	ანალიტიკოსი
	მაგდა ჯიმშელეიშვილი	იურისტი/ანალიტიკოსი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი	აღმასრულებელი დირექტორი
	ლევან ავალიშვილი	პროგრამების დირექტორი
	დავით მაისურაძე	ღია მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი
მწვანე ალტერნატივა	ქეთი გუჯარაიძე	ანალიტიკოსი
ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში	Colombe de Mercey	საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მმართველობისა და ადამიანური კაპიტალის პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი	თათული ჭუბაბრია	სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი
	მარიამ ჯანიაშვილი	პროექტის კოორდინატორი/მკვლევარ-იურისტი
	თეო ფირანიშვილი	მკვლევარი
	ქამრან მამედლი	მკვლევარი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სალომე საღარაძე	პროექტების კოორდინატორი
	ნინო კაპანაძე	ანალიტიკოსი
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	ლევან ფანიაშვილი	ადვოკატირების ოფიცერი
ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის	გელა კვაშილავა	გამგეობის თავმჯდომარე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნინო დოლიძე	ასოცირებული პროფესორი
GIPA	ნანა მაჭარაშვილი	საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
OGP IRM	ნოდარ ხერხეულიძე	Independent Reporting Mechanism (IRM)
OGP საერთაშორისო სამდივნო		
OGP საერთაშორისო სამდივნო	პოლ მაასენი	ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელი
OGP საერთაშორისო სამდივნო	შრეა ბასუ	ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე
OGP საერთაშორისო სამდივნო	მარინა მხითარიანი	აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მენეჯერი